

ტესტის სახელწოდება

კალციტონინი

ტესტის ალტერნატიული დასახელება

თირეოკალციტონინი

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტი სისხლში კალციტონინის რაოდენობას განსაზღვრავს. კალციტონინი ჰორმონია, რომელსაც ფარისებრი ჯირკვლის C-უჯრედები წარმოქმნიან. იგი სისხლში კალციუმის დონეს აქვეითებს, ოსტეოკლასტების აქტივობას თრგუნავს და ამით ხელს უშლის ძვლის რეზორბციას.

კალციტონინის დონე იმატებს C-უჯრედების ჰიპერპლაზიის, ფარისებრი ჯირკვლის მედულარული კიბოს და მენ 2-ის (MEN 2 - მრავლობითი ენდოკრინული ნეოპლაზია, ტიპი 2) დროს. კალციტონინის ანალიზი ამ მდგომარეობების დიაგნოსტიკისთვის გამოიყენება.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

კალციტონინის ანალიზი ინიშნება C-უჯრედების ჰიპერპლაზიის და ფარისებრი ჯირკვლის მედულარული კიბოს დიაგნოსტიკისა და მონიტორინგისთვის. იგი ასევე გამოიყენება სკრინინგისთვის იმ პაციენტებში, რომელთაც ანამნეზში მენ 2-ის ოჯახური ისტორია აქვთ.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ანალიზამდე რამდენიმე საათით ადრე საჭიროა საკვების მიღებისგან თავის შეკავება. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა მედიკამენტმა შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე.

აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია და ანალიზისთვის მოსამზადებლად მისგან უფრო დეტალური ინსტრუქციების მიღება.

შედეგების ინტერპრეტაცია

თუ კალციტონინის დონე დაბალია, C-უჯრედების ჰიპერპლაზია და ფარისებრი ჯირკვლის მედულარული კიბო ნაკლებ სავარაუდოა.

კალციტონინის მაღალი დონე შეიძლება გამოიწვევოს იყოს C-უჯრედების ჰიპერპლაზიით, ფარისებრი ჯირკვლის მედულარული კიბოთი ან მენ 2-ით.

თუმცა დიაგნოზის დადასტურებისთვის საჭიროა სხვა კვლევებიც (მაგ. ბიოფსია, ულტრაბგერითი გამოკვლევა და სხვ.), რადგან კალციტონინი შეიძლება მომატებული იყოს ისეთი დაავადებების დროსაც, როგორებიცაა ფილტვის კიბო, ძუძუს კიბო, პანკრეასის კიბო და ასევე ზოგიერთი სხვა ტიპის სიმსივნე.

ფარისებრი ჯირკვლის მედულარული კიბოს წარმატებით მკურნალობის შემთხვევაში,

კალციტონინის დონემ უნდა დაიკლოს და დაქვეითებული დარჩეს. თუ გარკვეული დროის შემდეგ, მისმა დონემ ისევ დაიწყო ზრდა, ეს შესაძლოა კიბოს რეციდივის მანიშნებელი იყოს.